



მეცნიერება და რწმენა

თემისები

„მიგვაჩნია, რომ მართლმადიდებლურ ეკლესიას უნდა ჰქონდეს მჭიდრო კავშირი მეცნიერებთან“ (პატრიარქი ილია II-ის საშობაო ეპისტოლე, 2003 წ.). ასეთია ჩვენი ეკლესიის პოზიცია მეცნიერების მიმართ. მეცნიერება ოდითგან ვითარდებოდა ეკლესიის წიაღში, მაგრამ უდიდესმა მეცნიერულმა და ტექნოლოგიურმა მიღწევებმა (განსაკუთრებით ბოლო ორი საუკუნის მანძილზე) მეცნიერების ნაწილს შეუქმნა იღუბია, რომ მეცნიერების საშუალებით შესაძლებელია მთელი სამყაროს საიდუმლოებათა (მათ შორის სულიერის) ახსნა. ამიტომ ღვთის რწმენა ზედმეტად მიიჩნიეს და ბიბლიაში გადმოცემული ცოდნა იმის გამო, რომ იგი „არ ეთანადება თანამედროვე მეცნიერულ შეხედულებებს“, (რომელიც დროის მიხედვით იცვლება) დოგმად და ლეგენდად აღიქვეს.

„მეცნიერებაში და ტექნიკაში საოცარმა აღმოჩენებმა მისი (ადამიანის) გონება უსაზღვრო სიამაყით აღავსო, მან უარყო ყოველივე, რასაც თავისი აზროვნებით ვერ მისწვდა“ (პატრიარქი ილია II-ის საშობაო ეპისტოლე, 1999 წ.). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოჩენილ მეცნიერთა დიდი ნაწილი ასე არ ფიქრობს. აგრესიულ მეცნიერებს ყველაზე მიუღებლად მიაჩნიათ ბიბლიური ცოდნა სამყაროსა და ადამიანის წარმოშობის და სასწაულის შესახებ. ბიბლიაში მოყვანილ შემოქმედის მიერ 7500 წლის წინათ სამყაროს შექმნას ისინი უპირისპირებენ სამყაროს მეცნიერულ მრავალმიღიარდიან ასაკს და ევოლუციის თეორიას, ხოლო სასწაულის შესახებ ვი მათში პოპულარულია გამოთქმა: „ცნობილია, რომ ბუნებაში სასწაული არ არსებობს“.

მოხსენებაში კონკრეტული ფაქტების გამოყენებით ნაჩვენებია, რომ მოვლენათა ფაქტობრივი დაგროვებისაგან განსხვავებით მეცნიერული წარმოდგენები არ ასახავს მოვლენის სრულ ბუნებას, არამედ მხოლოდ მის გამარტივებულ, გაიდეალიზირებულ მოდელს, რომელიც დრო და დრო განიცდის ცვლილებას ან განვითარებას, მაგრამ განვითარება შეიძლება მხოლოდ არასრულყოფილის, სრულყოფილის განვითარება კი აღარ შეიძლება. „ის, რასთანაც ჩვენ საქმე გვაქვს დაკვირვებისას, არ არის საკუთრივ ბუნება, არამედ არის ბუნება, რომელიც მისაწვდომია კითხვების დასმის ჩვენი მეთოდისათვის“, – ვერნერ ჰაიზენბერგი.

მეცნიერების განვითარებისა და მისი არასრულყოფილების შესახებ უწმიდესი და უნტარესი, ილია II ბრძანებს: „ესა თუ ის თეორია ან პიკოთება შეიძლება ხვალ საერთოდ მიუღებელი აღმოჩნდეს, ან უკეთესით შეიცვალოს. ეს კი იმიტომ ხდება, რომ ადამიანის გონება და მისი შესაძლებლობები შეზღუდულია და სრულყოფისაგან დაშორებული, მაშინ როდესაც ჭეშმარიტი ქრისტიანული სწავლება ისეთივეა, როგორც I საუკუნეში“. ამ აზრის სისწორის დამადასტურებლად შეიძლება მოვიყვანოთ დიდი აფეთქების ერთ-ერთი მთავარი აპოლოგეტის სტივენ ხოკინგის სიტყვები: „მეცნიერების პროგრესი იმაში კი არ მდგომარეობს, რომ არასწორი თეორია შეიცვალოს სწორით, არამედ – ერთი არასწორი თეორიის შეცვლაში მეორე არასწორით, ოღონდ დაბუსტებულით“.

მოხსენებაში განხილულია მეცნიერების მთავარი იარაღის – ექსპერიმენტის უტყუარობის ფარგლების საკითხი, ასევე – საბუნებისმეტყველო მეცნიერების ბაზისური ცნებების დროის და მატერიის განმარტებების სრულყოფა და შეძლებისდაგვარად ნაჩვენებია, რომ ექსპერიმენტის ერთნაირი შედეგები მიიღება განსაზღვრული სიზუსტის ფარგლებში (რაც საკმარისად მიიჩნევა მოცემული ამოცანისათვის, რომელიც უზრუნველყოფს რაიმე ტექნოლოგიის შექმნას და მის განვითარებას კაცობრიობის სასარგებლოდ ან, სამწუხაროდ – საზიანოდ), ხოლო

მატერიის ზუსტი და ცალსახა განმარტება არ არსებობს. აქედან გამომდინარე მეცნიერება ჰერ-ჰერობით შორს არის ჭეშმარიტებისაგან, ანუ იმისაგან, რაც არის სინამდვილეში. (ნათქვამი ეხება ე.წ. მატერიალურ სამყაროს და არა სულიერს, რომლის შესწავლაში მეცნიერება პირველ ნაბიჯებს დგამს). აქედან გამომდინარე კეთდება დასკვნა, რომ მეცნიერების მიერ ბიბლიური ცოდნის შეფასება ან ახსნა ჰერ-ჰერობით შეუძლებელია. ცნობილია, რომ სრულიად ახალი მეცნიერული წარმოდგენების დაბადება ყველთვის დაკავშირებულია ინტუიტურ აზრთან და არა ლოგიკურ მსჯელობასთან, რომელიც ეყრდნობა უკვე არსებულ წარმოდგენებს. ეს ინტუიტური აზრი ღვთის წყალობით ადამიანს უჩნდება გონებაში და ეს არის ერთ-ერთი დიდი სასწაული ჩვენს სინამდვილეში.

მოხსენებაში ხაგასმით აღნიშნულია, რომ მეცნიერული წარმოდგენების მოდელურობა და დროებითობა არ ზღუდავს მის განვითარებას, პირიქით – უფრო დიდი მიღწევების პერსპექტივებს ხსნის, რადგან იძლევა საშუალებას ახალი მოდელებისა და წარმოდგენების მემვეობით გააუმჯობესოს ადამიანის არსებობის კომფორტულობა და დაუახლოვდეს სინამდვილეს. „მეცნიერებაცა და რელიგიაც საშუალებაა ობიექტური რეალობის შესაცნობად და ისინი ხელს უნდა უწყობდნენ ჭეშმარიტების გზით კაცობრიობის განვითარებას“ (პატრიარქი ილია II-ის სააღდგომო ეპისტოლე, 2000 წ.).